

დანართი 1

*(კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით:
N07-01/38, 10.08.2023წ.)*

ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“ ან „ბსუ“) დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სტრუქტურას, ფუნქციებსა და საქმიანობის წესს.

1.2. სამსახური საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, წინამდებარე დებულების, „ბსუ-ს სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციის“ და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით.

1.3. სამსახური კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 2. სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

2.1. სამსახურის ძირითადი ამოცანებია უნივერსიტეტში წესრიგის, საუნივერსიტეტო სივრცეში მყოფი პირების უსაფრთხოებისა და მატერიალური ქონების დაცვა, აგრეთვე უნივერსიტეტში, სახანძრო და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობის პირობების შექმნის ხელშეწყობა.

2.2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის სივრცეში მყოფი პირების (უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, სტაჟიორების, ვიზიტორების, სტუმრების და სხვა პირების) და მატერიალური რესურსების/ქონების დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა (უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მათი გადაადგილების პროცესში დახმარება); *(ცვლილება - N07-01/38, 10.08.2023 წ.)*

ბ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემოსვლისა და გასვლის, უნივერსიტეტის რეგულაციებით დადგენილი ქვევის წესების (წესრიგის) დაცვის მონიტორინგი, მათ შორის უსაფრთხოების კამერების მეშვეობით და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში დროული და ეფექტური რეაგირება;

გ) უნივერსიტეტში ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების, ასევე დაცვის ტექნიკური საშუალებების

(ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო გამართული მუშაობის/ფუნქციონირების მონიტორინგი; *(ცვლილება - N07-01/38, 10.08.2023 წ.)*)

დ) შრომის უსაფრთხოების სისტემის შემუშავება, უნივერსიტეტში დანერგვა და შესრულების კონტროლი; შრომის უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუდმივი ინფორმირებულობა, ბსუ-ში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კულტურის დანერგვასთან დაკავშირებით წინადადებების ინიცირება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის/რექტორისათვის წარდგენა;

ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის მონიტორინგი, საშიშროებების განსაზღვრა, შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასება, პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა, ხელმძღვანელობისათვის რისკის შეფასების ფორმა N1-ის სახით მათი წარდგენა და პრევენციისათვის განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ შესრულების მონიტორინგი, ბსუ-ს საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა (მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის და ტექნიკური საშუალებების განახლების, ინსტრუქტაჟის ჩატარების თაობაზე ან/და სხვა); *(ცვლილება - N07-01/38, 10.08.2023 წ.)*

ვ) საუნივერსიტეტო (სამუშაო) სივრცეში მყოფი პირებისათვის (პერსონალი, სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები, მსმენელები და სხვა) შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება: შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ; სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ; საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ; არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;

ზ) შრომის უსაფრთხოების საკითხებზე საუნივერსიტეტო (სამუშაო) სივრცეში მყოფი პირებისათვის (პერსონალი, სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები, მსმენელები და სხვა) სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, კონსულტაციის გაწევა, სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება, ასევე მათ მიერ მიღებული ცოდნის შემოწმება და ამ მიზნით ტესტირების, სიმულაციების და სხვა სახის შემოწმებების წარმოება, აუცილებლობის შემთხვევაში გარე ტრენინგების საჭიროების ინიცირება;

თ) სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) რეგულარულად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით და კომპეტენციის ფარგლებში შემდეგი აქტივობების განხორციელება: უნივერსიტეტში არსებული შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმების და მისი დოკუმენტირების მონიტორინგი, დადგენილი წესის შესაბამისად ინდივიდუალური დაცვის და სხვა დამცავი საშუალებების სწორად გამოყენების და მოვლა-გასუფთავების კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვლის ინიცირება, უნივერსიტეტში ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით, შემოწმების, გაზომვისა

და შეფასების განხორციელების ინიცირება და ხელშეწყობა; *(ცვლილება - N07-01/38, 10.08.2023 წ.)*

კ) უნივერსიტეტის (დამსაქმებლის) მიერ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული აქტივობების/ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა და უზრუნველყოფა.

2.3. უნივერსიტეტში დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით სამსახური უფლებამოსილია არ დაუშვას უცხო პირი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ან უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ნებართვის გარეშე და გამოიყენოს შესაბამისი ღონისძიებები წესრიგის დამრღვევის მიმართ, თუ იგი არ ემორჩილება უნივერსიტეტის შინაგანაწესით და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს სამართალდამცავ ორგანოს.

2.4. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებულ აქტივობებს (მათ შორის პანდემიის, ფორსმაჟორული, საგანგებო ვითარების დროს) სამსახური ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული „სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციის“, წინამდებარე დებულების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული სამსახურის პერსონალის სამუშაო (ფუნქციათა) აღწერილობის ან/და სხვა აქტების მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და პერსონალი

3.1. სამსახურის სტრუქტურაში შემავალი სტრუქტურული ერთეულია დაცვის განყოფილება.

3.2. სამსახურის პერსონალს შეადგენს სამსახურის უფროსი, დაცვის განყოფილების უფროსი, დაცვის და შრომის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები. *(ცვლილება - N07-01/38, 10.08.2023 წ.)*

3.3. სამსახურის პერსონალის სამსახურში მიღება ხორციელდება შრომის კანონმდებლობისა და ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად.

3.4. პერსონალის სამსახურში მიღება (შრომითი ურთიერთობის დაწყება) ხორციელდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების (ასევე შრომითი ხელშეკრულების) საფუძველზე, მათ შორის სამსახურის უფროსის და სამსახურის სტრუქტურული ერთეულის უფროსის თანამდებობაზე დასაქმება - რექტორთან შეთანხმებით.

3.5. სამსახურის უფროსი: *(ცვლილება - N07-01/38, 10.08.2023წ.)*

ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას;

ბ) პასუხისმგებელია სამსახურის მუშაობის ეფექტურობაზე და შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, სამუშაო პროცესში ხარვეზების არსებობის/შეფერხების პრევენციის მიზნით პერიოდულად ატარებს სამუშაო შეხვედრებს და ისმენს სამსახურის პერსონალის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

გ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის სტრუქტურის, საშტატო ერთეულების, ფუნქციების, პერსონალის მიმართ წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე;

დ) შუამდგომლობს იმ რესურსების (სახსრების, მოწყობილობის, მასალის და ინვენტარის) გამოყოფაზე, რაც აუცილებელია სამსახურის ფუნქციების შესასრულებლად, ასევე უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს წარუდგენს მოსაზრებებს სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარების შესახებ;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ვიზიტად დასტურებს/ითანხმებს სამსახურის და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტებისა და კორესპონდენციის პროექტებს;

ვ) წარადგენს სამსახურის საქმიანობის წლიურ ანგარიშს, ასევე რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით სხვა შემთხვევებშიც;

ზ) შეიმუშავებს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას, შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმას, საგანგებო მართვის გეგმას (ორგანიზებას უწევს შესაბამის უწყებებთან შეთანხმების პროცესს) და წარუდგენს დასამტკიცებლად ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და რექტორს;

თ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს.

3.6. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ჯანმრთელობის მდგომარეობა) მის მოვალეობას ასრულებს დაცვის განყოფილების უფროსი.

3.7. დაცვის განყოფილების უფროსი ხელმძღვანელობს და საერთო კოორდინაციას უწევს დაცვის განყოფილების მიერ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული შემდეგი ფუნქციების ეფექტურ შესრულებას:

ა) უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, პერსონალის, სტაჟიორების, ვიზიტორების/სტუმრების ან/და უნივერსიტეტის სივრცეში დაშვებული სხვა პირების უსაფრთხოების დაცვა;

ბ) უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ფართის, ტერიტორიის, კორპუსების, საერთო სარგებლობის სივრცეებისა და სათავსების დაცვა, საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების მდგომარეობის, ასევე გადარჩენის ინდივიდუალური და ჯგუფური საშუალებების არსებობისა და გამართულობის უზრუნველყოფა, საგანგებო სიტუაციების პრევენცია, ხოლო არსებობის შემთხვევაში მათზე საქართველოს კანონმდებლობითა ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად რეაგირება;

გ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემოსვლის და გასვლის, საზოგადოებრივი წესრიგის, უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებებზე წესრიგის დაცვის კონტროლი, ასევე უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი ქცევის წესების (მათ შორის თამბაქოს მოხმარების წესის) დაცვის მონიტორინგი, ხოლო დარღვევაზე - შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

დ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული (მათ შორის პანდემიის, ფორსმაჟორული, საგანგებო ვითარების დროს) სხვა აქტივობების განხორციელება, საქართველოს

კანონმდებლობის, მათ შორის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, წინამდებარე დებულების, „ბსუ-ში პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუქციის, „სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციის“ და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით.

3.8. დაცვის განყოფილების უფროსი:

ა) პასუხისმგებელია უნივერსიტეტის სახანძრო უსაფრთხოებაზე და დაცვის განყოფილების მუშაობის ეფექტურობაზე, სამუშაო პროცესში ხარვეზების არსებობის/შეფერხების პრევენციის მიზნით პერიოდულად ატარებს სამუშაო შეხვედრებს და ისმენს დაცვის განყოფილების პერსონალის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ; *(ცვლილება - N07-01/38, 10.08.2023წ.)*

ბ) ანაწილებს განყოფილების პერსონალის მიერ შესასრულებელ სამუშაოს, წინამდებარე დებულებით ან/და ბსუ-ს მართვის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების ან/და სამუშაოთა აღწერილობის შესაბამისად, ადგენს პერსონალის არანაკლებ 10 კალენდარული დღის სამუშაო განრიგს (რომელშიც აღინიშნება თარიღი, სამუშაო საათები/ხანგრძლივობა, დასაცავი ობიექტის/კორპუსის ნომერი და მისამართი), წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, აქვეყნებს სამუშაო ადგილზე, თვალსაჩინო ადგილზე და ვალდებულია გააცნოს თითოეულ დასაქმებულს, არანაკლებ 10 დღით ადრე, თუ, უკიდურესი საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელი არ არის;

გ) პასუხისმგებელია უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ ფართში არსებული ვიდეომეთვალყურეობისა და სასიგნალიზაციო მოწყობილობების მეშვეობით დაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებების კონტროლზე;

დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს განყოფილების პერსონალის მიმართ წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე;

ე) შუამდგომლობს იმ რესურსების (სახსრების, მოწყობილობის, მასალის და ინვენტარის) გამოყოფაზე, რაც აუცილებელია დაცვის განყოფილების ფუნქციების შესასრულებლად, ასევე სამსახურის უფროსს წარუდგენს მოსაზრებებს განყოფილების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარების შესახებ;

ვ) ასრულებს სამსახურის უფროსის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს.

3.9. დაცვის განყოფილებაში დასაქმებული დაცვის თანამშრომლები უწყვეტად, 24-საათიან რეჟიმში, განყოფილების უფროსის მიერ შედგენილი სამუშაო განრიგის მიხედვით, უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ფართის/ობიექტების/კორპუსების დაცვას და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებას (მათ შორის პანდემიის, ფორსმაჟორული, საგანგებო ვითარების დროს) საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დებულების, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული: „სახანძრო

უსაფრთხოების ინსტრუქცია“ და „ბსუ–ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქცია“ ან/და სამუშაო აღწერილობა და სხვა) და განყოფილების უფროსის ან/და სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესაბამისად.

3.10. სამსახურში შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებისათვის დასაქმებული პირი (შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი) ვალდებულია საქმიანობა წარმართოს/სამუშაო შეასრულოს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, წინამდებარე დებულების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული სამართლებრივი აქტების („სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია“ და „ბსუ–ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქცია“ ან/და სამუშაო აღწერილობა ან/და სხვა) და სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესაბამისად. *(ცვლილება - N07-01/38, 10.08.2023წ.)*

მუხლი 4. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

4.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.

4.2. სამსახურის საშტატო ერთეულების დასახელების ან მათი რაოდენობის ცვლილება არ გამოიწვევს ამ დებულებაში ცვლილების შეტანას.